

# მშვენიერი



ჩე ვარ წყნისი კვირი: წყნისან კვირისან სუდი თვის დაქსდვის ცხოვრათვის. (იოან. 10—11).  
ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სისარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილსა. (ლუკ. 15—4).  
მოვედით ჩემდა ყოველნი მასურაღნი და ჭვირო-მძიმენი და შე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).


№ 5 1883-1892 1—15 მარტი.

შ ი ნ ა რ ს ი: მშვენიერი წესი ყველასაგან მისაბაძავი.—მიტროპოლიტი დავითი.—მცენარეულობისაგან მოზადე-ბული საქმელები სასარგებლო ჩვენი ტანისათვის, თუ არა?—† მღვდელი გერასიმე აბზინაძე.—საბრალო ბედნიერი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მოძღვრება, თქმული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან.—ყოველს შემთხვევაში მოთმინება იქონიე და ღმერთი არ დაგივიწყებს.—სასარგებლო ცოდნა.—საექვსო კითხვების განმარტება და განცხადება.

## მშვენიერი წესი ყველასაგან მისაბაძავი.

ხერხონის ნეტარხსენებულმა მთავარ-ეპისკოპოსმა ნიკანორმა თავის სიტყვებში ერთი მშვენიერი წეს-წყობილება შემოიღო თავის ეპარქიაში. ამ წეს-წყობილებაში ისე მტკიცედ მოიღვა ფესვი, რომ ამ მთავარ-ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგაც მტკიცედ სრულდება იგი. აი ეს მშვენიერი წეს-წყობილება: როდესაც ეპარქიაში სადმე დაიკლებს მღვდლის, მთავარ-ღიაკენის ანუ მედავითნის ადგილი, მაშინვე საყოველთაოდ აცხადებენ მთელს ეპარქიაში ამ თავისუფალს ადგილს და მასთან დაწვრილებით აცხადებენ იმასაც, თუ თავისუფალ ეკლესიას რამდენი მრევლი ჰყავს, რამდენი ჯამაგირი არის დანიშნული მღვდლისათვის ხაზინიდან, რამდენია მრევლისაგან შემოსავალი, აქვს თუ არა ეკლესიას საეკლესიო მამულები და რა საარგებლობა შემოუღის კრებულს ამ მამულებისაგან, არის თუ არა ეკლესიის კრებულისათვის სახლი და სხვა... გამოცხადდება თუ არა ეკლესიის ეპარქიაში, მთხოვნელები გაეშურებიან, რომ თავის სწავლისა და ღირსების მიხედვით მიიღონ თავისუფალი სამრევლო. თუ სამრევლო ღარიბია, მთხოვნელებიც ნაკლებად აღმოჩნდებიან ხოლმე; მაგრამ ზოგიერთ ადგილზე თხუთმეტ და ოც კაცს შეაქვს თხოვნა, ამის შემდეგ შეიქნება მთხოვნელთა

დებენ იმასაც, თუ თავისუფალ ეკლესიას რამდენი მრევლი ჰყავს, რამდენი ჯამაგირი არის დანიშნული მღვდლისათვის ხაზინიდან, რამდენია მრევლისაგან შემოსავალი, აქვს თუ არა ეკლესიას საეკლესიო მამულები და რა საარგებლობა შემოუღის კრებულს ამ მამულებისაგან, არის თუ არა ეკლესიის კრებულისათვის სახლი და სხვა... გამოცხადდება თუ არა ეკლესიის ეპარქიაში, მთხოვნელები გაეშურებიან, რომ თავის სწავლისა და ღირსების მიხედვით მიიღონ თავისუფალი სამრევლო. თუ სამრევლო ღარიბია, მთხოვნელებიც ნაკლებად აღმოჩნდებიან ხოლმე; მაგრამ ზოგიერთ ადგილზე თხუთმეტ და ოც კაცს შეაქვს თხოვნა, ამის შემდეგ შეიქნება მთხოვნელთა



თა სწავლის და ღირსების გარჩევა, ყველა მთხოვნე-  
ლთა ღირსების გარჩევის შემდეგ, მწყემს-მთავარი  
უპირატესობას აძლევდა იმ პირს, რომელიც დანარ-  
ჩენს მთხოვნელებზე სწავლით და ზნეობით მაღლა  
იღვს. ამისთანა კანონიერი აღრჩევის შემდეგ არაფე-  
თარი უკმაყოფილება და საყვედური არ იაშობდა სხვა  
მთხოვნელებისაგან და ყველანი კმაყოფილნი რჩებო-  
დნენ და დღესაც რჩებიან.

მთხოვნელთა შორის ღირსეული კანდიდატის  
ამორჩევის დროს აქ სახეში არაფეთარი შეწირულებას  
არ ლებულობენ მთხოვნელთაგან სასარგებლოდ ეკ-  
კლესიებისა, საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და  
სხვა რაიმე საქველ-მოქმედო დაწესებულებათათვის.  
საქმეს სწყევტს ზნეობითი და განებითი ღირსება  
მთხოვნელისა.

ყოველი შეწირულება რაიმე კეთილი საქმის  
სასარგებლოდ კაი და საქებური საქმეა, მაგრამ ეს  
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შეწირულებას გარ-  
და ჭეშმარიტი ძრისტიანული ქველმოქედებისა სხვა  
რაიმე მიზანი არა აქვს. ამავე დროს ყურადღება უნდა  
მივაქციოთ, რომ კეთილს საქმეს, რომლის სასარგებ-  
ლოდ ხდება შეწირულება, არაფერი ენოს შემწირ-  
ველის მხრით.

უკანასკნელს დრომდე, ბევრს ადგოლას, ესეთი  
წესი სუფევდა: სამრევლო, მღვდლის გარდაცვალების  
შემდეგ, ეძლეოდა იმ პირს, რომელიც შეირთავდა  
გარდაცვალებული მღვდლის ქალს \*). ამ წესსაც,  
უნდა ვსთქვათ, საფუძვლად ჰქონდა ქრისტიანული  
ქველმოქმედება, გაჭირვებულთა და ობოლთა შე-  
ბრალება. მართლაც რა არის საწინააღმდეგო იმაში,  
რომ სემინარიელს ეძლევა სამრევლო იმ პირობით,  
რომ მან ჯვარი დაწეროს გარდაცვალებული მღვდლის  
ქალზე! თუმცა ეს კეთილი საქმე იყო, მაგრამ იგი  
ბევრს უსიამოვნებას და უკმაყოფილებას ჰბადავდა.  
ხშირად ხდებოდა, რომ ამისთანა მღვდლები თავის  
წინამოადგილის მაგიერობას ვერ უწყევდა თავის ახალს  
სამრევლოს...

მაღლობა ღმერთს, რომ ეს არა სასიამოვნო წეს-  
წყობილება ბოლოს დროს მოსპეს და დღეს აღარ  
სრულდება, და აღარც რაიმე უკმაყოფილება მოიხმის  
საზოგადოებაში. აგრეთვე რაიმე კეთილი საქმის სა-

\*) საყურადღებოა, რომ საქართველოს ძველს ეპარქიაში  
ამ მიმდინარე საუკუნის დამდეგამდე არასოდეს ეს წესი არ  
ყოფილა.

სარგებლოდ შეწირულებასაც, შეიძლება, ზოგიერთ  
შემთხვევაში, თან მოჰყვეს არა სასიამოვნო შედეგი.

ხშირად უღირსნი პირნი თავიანთი შეწირულე-  
ბის წყალობით აწუხებენ სასულიერო მმართველობას  
და სთხოვენ ისეთ ადგილებს, რომელთაც ისინი არ  
შეესაბამებიან თავიანთი სწავლით და ზნეობითი ღირ-  
სებით. განსაკუთრებით ეხლანდელს დროში უნდა  
მოვერიდოთ ყოველს ამისთანა წეს-წყობილებას სა-  
ეკლესიო საქმეებში, რადგან ამისთანა წეს-წყობი-  
ლება მისცემს ჩვენი სარწმუნოების მტრებს საშუა-  
ლებას, რომ მრავალი შეაცდინონ და გული გაუგრი-  
ლონ სარწმუნოებაზე. საზოგადოდ რაიმე ახალი წესის  
შემოღების დროს ჩვენ ძალიან ფრთხილად და წინ-  
დახედვით უნდა ვიქცეოდეთ...

ყოველივე ის, რაც რუსეთში ხდებოდა სამღვდე-  
ლო პირთა ამორჩევის შეჯახებ, მართალია, ჩვენში  
მოუხერხებელი იყო დღეძღე ღირსეული კანდიდატე-  
ბის უყოლობისა გამო, მაგრამ დღეს, მაღლობა  
ღმერთს, მთხოვნელები მრავალი ჩნდებიან დასრული  
იმედი გვაქვს, რომ ჩვენგან ზეჰოდ დასახელებული  
ხერსონის ეპარქიის წეს-წყობილება ჩვენშიაც იქნება  
შემოღებული.

დკე. დ. ღამბაშაძე.

მიტროპოლიტი დავითი.

დავითის ჩამომავლობა.

(გაგრძელება \*)

შემდეგ დავითი გაგზავნეს გაენათის მონასტერში  
თავის ნათესავ მიტროპოლიტ ექვთიმესთან, რომე-  
ლიც გურიის ერისთავების გვარისაგან იყო. დიდი  
ტირილით და მწუხარებით დასტოვა დავითმა თავისი  
მშობლების სახლი. ყმაწვილს ძალიან ენანებოდა  
თავისი ცხენის მოშორება, მაგრამ დავითს იპითი  
ანუგეშებდნენ, რომ მას შემდეგში ელოდა დიდი მნი-  
შვნელობა როგორც სასულიერო პირს და მღვდელ-  
მთავარს, რომელნიც იმ დროს სარგებლობდნენ დიდს  
უფლებით და დამოუკიდებელი ცხოვრებით. დავითიც  
დაემორჩილა მშობლების სურვილს და გაემგზავრა  
გაენათის მონასტერში; აქ დავითი ხელდასხმულ იქმნა  
მთავარ-ღიაკევად შობილგან 18-ის წლისა. ერთი

\*) იხ. «მწყემსი» № 2, 1892 წ.



წლის შემდეგ დაეთით აღკვეცილ იქმნა მღვდელ-მონაზვნად. 21 წლისა იგი დანიშნა წინამძღვრად და მიიღო არქიმანდრიტის ხარისხი. როცა დაეთით შესრულდა 29 წლისა, მეფე სოლომონმა განიზრახა მისი მიტროპოლიტად ხელდასმვა. ეს მოხდა 1805 წელში. ამ დროს არსად არ იყო თავისუფალი ეპარქია და ამიტომ დაეთით ხელდასმულ უნდა ყოფილიყო მღვდელ-მთავრად ეპარქიის დაუნიშნავად, მაგრამ მეფის ესეთი განზრახვა გამოიწვევდა საყვედურს მღვდელ-მთავრებს შორის, რომელნიც იფიქრებდნენ, რომ მათში ერთს რომელიმეს უსათუოდ უნდა დაეცალა ადგილი მეფის საყვარელი კაცის შეილისათვის და ესეთი ფიქრი გამოიწვევდა უთანხმოებას და მტრობას ახალგაზრდა მიტროპოლიტ დაეთის და სხვა მღვდელ-მთავრებს შორის. ამას გარდა თავადი ზურაბიც წინააღმდეგი იყო მეფის სურვილისა; მას არა ჰსურდა თავისი ასე ახალგაზრდა შეილის მიტროპოლიტად დანიშნა, მაგრამ მეფე სოლომონს კი ძლიერ ჰსურდა თავის განზრახვის სისრულეში მოყვანა და რომ ყველა ინტერესები დაეკმაყოფილებია, მეფემ გამოიწვია თავისუფალი ეპარქია სათათრეთის გურიაში, სახელდობ კობულეთში, სადაც ერთს დროს ჰყვავოდა შესანიშნავი მონასტერი ლხინოწმიდა თავისი მშვენიერი ტაძრით. 1740 წელში თათრებმა დაანგრეს ეს მონასტერი, გააუქმეს სამიტროპოლიტო კათედრა და ადგილობრით მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი გააქაზა დიანეს. მეფე სოლომონს ახალგაზრდა დაეთის ამ ეპარქიის მღვდელ-მთავრად დანიშნა ორნაირ სახარგებლოდ მიაჩნდა: ერთის მხრით დაეთის დანიშნა ამ ეპარქიის ეპისკოპოსად მოასვენებდა ყველა მღვდელ-მთავრებს და მეორეს მხრით ეს დანიშნა მოქალაქეებელი იქნებოდა იმისი, რომ კობულეთი და ბათუმი ოდესმე ხელახლად უნდა შემოერთებოდა საქართველოს. მაგრამ ყოველივე ეს ისე ფარულად სწარმოებდა, რომ ქუთაისში მოსულმა მღვდელ-მთავრებმა, რომელნიც მეფისაგან იყვნენ მოწოდებულნი, მხოლოდ მაშინ გაიგეს დაეთის მიტროპოლიტად ხელდასმვა, როცა მთავარ-დიაკანმა წარმოასთქვა ეს მშვიდობიანის დროს. მიტროპოლიტად ხელდასმვის შემდეგ დაეთით გაემგზავრა ჯრუჭის მონასტერში, სადაც დაბინავდა 1803 წელში, პირველად როგორც ამ მონასტრის არქიმანდრიტის სიმეონის ხელქვეითი და შემდეგ, მ. სიმეონის გარდაცვალებისა, როგორც ამ მონასტრის არქიმანდრიტი.

მიტროპოლიტმა დაეთიმ თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გაატარა ამ მონასტერში, სადაც

გამოიჩინა წრავალი კეთილი მოღვაწეობა, მზრუნველობა და ჭკუა-გონება და ამიტომ უადგილო არ იქნება, რომ ვრცლად აიწეროს ეს მონასტერი.

**ჯრუჭის მონასტრის და ამ მონასტერში მიტროპოლიტის დაეთის ცხოვრება.**

შორაპნის მაზრაში, საჩხერის მახლობლად, რაჭის მაზრის სამხლევარზე, პატარა მდინარის ჯრუჭის ნაპირზე გაგრძელებულია მშვენიერი ხეობა, რომელთაგან ყველაზე უკეთესია ჯრუჭის ხეობა. ამ ხეობის მარჯვენა მხარეზე აღშენებულია ჯრუჭის მონასტერი. მონასტრის გარშემო მდებარეობს მთები, რომელნიც დაფარულნი არიან ტყით. ნამდვილად არაფერ იცის, თუ როდის არის აღშენებული ეს მონასტერი, მაგრამ მონასტრის წმ. გიორგის შენობა და ზვირგანოდმოცემა გვარწმუნებს, რომ მონასტერი არის აღშენებული უწინდელს დროში, როცა იმერეთის სამეფო მშვენიერს მდგომარეობაში იყო. 1848 წელში ჯრუჭის მონასტერში იყო აკადემიკი ბროსე ამ მონასტრის დასათვალიერებლად. ამ აკადემიკს მონასტრის ერთ ქვაზე უნახავს ზედწარწერა, რომელიც ამტკიცებს, რომ მონასტერი აუშენებია თავადს ფალავანდიშვილს. მონასტრის სალაროში ბროსეს უნახავს ძლიერ ძველი ნაშთები ქართულის ნაწილებისა, რომლებზედაც აღნიშნულია დროც. სხვათა შორის ბროსეს ამ მონასტრის სალაროში უნახავს სახარება, დაწერილი 936 წელში. მაგრამ ყველა ეს ძველი ნაშთებიც არ არიან ამ მონასტრის კუთვნილება. ხსენებული სახარება მოუტანიათ ამ მონასტერში წმ. გიორგის წმ. ნაწილებთან ერთად ახალციხის მაზრიდან ბერებს, რომელნიც XV საუკუნეში გამოქცევიან ახალციხიდან თათრებს, რომ იმერეთის სამეფოში ეშოვნათ თავშესაფარი. ჯრუჭის მონასტერს არ შეეხებიათ თათრები, მაგრამ იგი მრავალჯერ აუოხრებიათ შინაურებს ერთმანეთში განხეთქილების დროს, რომელიც ხშირად ხდებოდა იმერეთში. რაჭის ძლიერი ერისთვის ამბოხების დროს ეს ჯრუჭის მონასტერი სრულიად დაანგრეს. ამას მოწმობს მეფის ძე ვახუშტი, რომელსაც XVIII საუკუნის პირველს ნახევარში აუწერია ჯრუჭის ხეობა. ამ აღწერილობაში ვახუშტი სოგვითხრობს, რომ ამ ხეობაში უწინდელს დროში ყოფილა ბერების საცხოვრებელი სახლები და თითონ მონასტერზე კი არაფერს არ ანობს. ალბად ვახუშტის დროს ეს მონასტერი სრულიად მივიწყებული იყო. როცა რაჭის ერისთავთან ომი გათავდა და მეფე სოლომონ I სძლია თავის ძლიერს

მტერს ერისთავს, მეფის ბრძანებით ამ ერისთავს ამოთხარეს თვალები, ხოლო მისი მამულების უმეტესი ნაწილი სოლომონ I-ლმა დაურიგა თავად წერეთლებს, რომელნიც მუდამ მეფის ერთგულნი იყვნენ.

ამის შემდეგ ჯრუჭის მონასტერი ხელახლად განახლდა, და 1789 წელს იმ მონასტერი და მღვიმის უღბნო თავის გლეხებით მეფემ უბოძა თავად წერეთლებს, რომელთაც ჯრუჭის წმ. გიორგის ეკლესიაში გაიკეთეს თავის გვარეულობათა სასაფლაო; რადგან ჯრუჭის მონასტერი წერეთლების საკუთრებად გახდა, თავად ზურაბ წერეთელმა შესწირა მონასტრის ეკლესიას სხვა-და-სხვა ნივთები და სხვათა შორის რუსული სახარება. ამ სახარებას ჰქონდა გაცემებული ვერცხლის ოქროში დაფერილი ყდა, რომელზედაც გამოხატულნი იყვნენ მახარებელნი. ამ სახარების 1791 წლის ზედწარწერა გვიმტკიცებს, რომ ზურაბს ეს სახარება, სხვა ძვირფას საეკლესიო ნივთებ შორის, წამოუღია რუსეთიდან, სადაც ის გაგზავნილი იყო დესპანად და სადაც დარჩა ორ წელიწად ნახევარი და ყურადღებას აქცევდა იმპერატრიცის ეკატერინე II მეფობას. ამ დროს მხოლოდ ეს ნივთები შეადგენდნენ მონასტრის სიმდიდრეს. სხვა ყოველივე იყო დაძველებული და აოხრებული. ტაძრის გუმბათი დაზარებული იყო ყაერით, საიდგანაც ტაძარში თავისუფლად ჩადიოდა წყალი. ტაძრის იატაკი იყო გაცემებული უბრალო ფიცრებისაგან, ღვთის მსახურებისათვის ყოველივე ნივთი იყო კალისა და არც ერთი ხატი არ იყო მოჭედული ვერცხლით. მონასტრის ეზო შემოუკავებელი იყო, აღარც ბერების საცხოვრებელი ოთახი იყო. მხოლოდ ღვინის ერთი სარდაფი იყო ხელუხლებლად დაცული. მონასტრის გარეშემო იყო დაზარებული ტყე. მონასტრის ბერები სცხოვრებდნენ უბრალო ქოხებში. ასეთ მდგომარეობაში იყო ჯრუჭის მონასტერი, როცა იგი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ მიტროპოლიტმა დავითმა. მონასტრის ეხლანდელი მდგომარეობა სრულებით სხვა მშენებელს სურათს წარმოუდგენს მნახველს. მონასტრის შინაგანი და გარეგანი მართულობა საუცხოვო სანახავია. მონასტრის გარეშემო ადგილები გაწმენდილია უბრალო ჩიგვებისაგან, მათ ნაცვლად ალაგ გაშენებულია ხეხილი, ალაგ ვენახები, სახნავსათესი მიწები და სათიბები. ტაძარი სრულიად განახლებულია: ტაძარი დაზარებულია ქესტით, იატაკი გაცემებულია თლილი ქვისაგან, ყოველივე ხელახლად

შეკეთებულია, კანკლის ხატები გამოწერილია რუსეთიდან; სალაროში შრავალი ძვირფასი ნივთები და შესამოსლებია. ბერების საცხოვრებლად გაცემებულია მრავალი მშენებელი ოთახები, რომელნიც დაზარულნი არიან კრამიტით. ოთახები შიგნით მშენებლად არიან მართულნი. ყოველივე, რაც კი საჭიროა მეურნეობისათვის, საუცხოვო სანახავია: აშენებულია ბელღეზა, საყინულე სარდაფი, სამზადი სახლი, სამზარეულო; ყველა ესეები გაცემებულია მკოდნე კაცისაგან. მონასტრის ზღუდის მახლობლად გაცემებულია დიდი აუზი, რომელშიაც ჩადის მშენებელი ცივი წყალი. ეს წყალი სამი ვერსის მანძილზე გამოყვანილია მილებით; მონასტრის ქვემოთ, მდინარის პირად, აღშენებულია მშენებელი ქვითკირის წისქვილი; მონასტრის პირდაპირ, ხეობის მეორე გვერდით გაშენებულია ავურხანები, გარეშემო გორებზე არის საძოვარი ადგილები. მონასტრის მოედანზე სახრდილებელი ხეები შემოღობილია მესრით. მიტროპოლიტ დავითის ანდერძში სწერია შემდეგი შესანიშნავი სიტყვები: ტიტველი და შიშველი მოვედი მე ჯრუჭის მონასტერში და ყოველივე, რაიცა ეხლა მაქვს, შევიძინე ამ მონასტერში ჩემი მშობლების შემოწირულებით, ჩემი ბაძის—მიტროპოლიტის დოკთორის მოწყალებით, კეთილ კაცთა შეწირულებით და ჩემი შრომით, და ამისათვის ყოველივე ჩემს ქონებას ეტოვებ ჯრუჭის მონასტერს. ამ სახით, სხვა-და-სხვა შენობათა გარდა, მონასტერის საკუთრებად შეიქნა მრავალი სხვა-და-სხვა ნივთები და საქონელი, ღირებული რამდენიმე ათას მანეთად, და 158 კომლი გლეხი, რომელთაგან ნახევარი შეწირული იყო მეფისაგან, ხოლო დანარჩენი გლეხები შეძენილია ან თვითონ მიტროპოლიტისაგან, ანუ მიღებული აქვს მას როგორც შეწირულება გარეშე პირთაგან. ფრიად შესანიშნავია მიტროპოლიტის დავითის ცხოვრება და მოღვაწეობა ამ მონასტერში. ის დილით ძალიან ადრე დგებოდა თავის უბრალო საწოლისაგან, შალის პერანგზე ჩაიცვამდა ანაფორას, რომელიც შეკერილი იყო უბრალო ნაქაოვისაგან, მიდიოდა ეკლესიაში, სადაც მარტოდ ლოცვილობდა. თავისუფალ დროს ანდომებდა მუშაობას, თვალყურს ადევნებდა გლეხებს და მუდამ ესაუბრებოდა მათ ღვთის სატყვის შესახებ; უხანდა გლეხებს მათ მოვალეობას და თავისი საკუთარი მაგალითით ასწავლიდა მათ შრომის მოყვარეობას; ეხმარებოდა მათ



პურის მკის და ლეწის დროს, მათთან ერთად კრეფდა ყურძენს და მუშაობდა ყანებში. მიტროპოლიტს ვერ აშინებდა ვერც წვიმა და ვერც თოვლი; ხშირად წვიმის დროს იგი გლახებთან ერთად სადილობდა სადმე კლდის ანუ ხის ქვეშ, და სრულდებოდა ყურადღებას არ აქცევდა, როცა მისი ანაფორა მთლად დასველებული იყო და ლობიანს ჯამში დაპურზე აწვამდა. გლახებს მიტროპოლიტი ეპყრობოდა მამაშვილურად, ხან-დის-ხან, მართალია, სტუქსავდა მათ, მაგრამ მუდამ ეწვეოდა ღარიბებს ფულით, ავად-მყოფებს არჩენდა თავის ხარჯით, და ხშირად თვითონ უწვდიდა მათ ავად-მყოფობის დროს, და რომ უკეთ მოეწეოდა სწეულთათვის, რამდენიმე ავად-მყოფს თავის საკუთარს ოთახში აწვენდა. მონასტრის მნახველებს მიტროპოლიტი იღებდა როგორც ძვირვას სტუმრებს და მათ მოსასვენებლად ჰქონდა ცალკე ოთახები. განსაკუთრებით უყვარდა დავათს, როცა მასთან მოდიოდნენ მახლობელი მეპამულები და ნაცნობები. ამ დროს მიტროპოლიტი იღებდა ბრწყინვალე ბატონის სახეს, თავის უბრალო ტანთსაცმლის ნაცვლად იცვამდა აბრეშუმის ანაფორას და იკიდებდა ყველა ორდენებს. სტუმრებს უმართავდა მშვენიერ სადილს და ხმარობდა ვერცხლის სტოლის მოწყობილებას; სადილად აწვადებინებდა სხვა-და-სხვა საქმელებს და სდგამდა სტოლზე მშვენიერ ღვინოს; მიტროპოლიტის მხარული საუბარი ამტკიცებდა, რომ თუმიცა თვითონ მას უყვარდა უბრალო ცხოვრება, მაგრამ სხვას არას დროს არ ავიწროებდა. სტუმრებს, გამოთხოვების დროს, მიტროპოლიტი ადგილობრივი ჩვეულებისამებრ, ასაჩუქრებდა სხვა-და-სხვა ნივთებით, იმისდაგვარად, ვის რა ესაჭიროებოდა: ზოგს აძლევდა ცხენს, ზოგს ძვირფას ქსოვილს, ანუ ვერცხლის ნივთებს, და ზოგს საჭმელ-სასამელს. ხანდახან მიტროპოლიტი სტუმრებთან ერთად სადილობდა და ებახებოდა სტუმრებს. თავის მხიარული მუსაიფით იქამდის მიიყვანდა ზოგიერთ ახალგაზრდა სტუმრებს, რომ ისინიც გულ ახდილად დაუწყებდნენ ხოლმე მუსაიფს მიტროპოლიტს, რომელსაც ამ სახით ეძლეოდა შემთხვევა, რომ გზა დაკარგული და ცოდვილნი დაეყენებია სწორს გზაზე და გაესწორებია მათი ნაკლებლები. ასეთი იყო მიტროპოლიტის ცხოვრება ჯარუტის მონასტერში.

მცენარეულობისაგან მომხადებული საჭმელი სასარგებლოა ჩვენი ტანმრთელობისათვის, თუ არა?

(დასასრული\*)

მეცნიერებისაგან ჯერეთ ნაჩვენები არ არის სწორი და უცვალებელი გამოკვლევანი, რომელთა ძალით ნაჩვენები იყოს, თუ რომელი საზრდოა კაცისათვის აუცალებლად საჭირო. ერთ დროს რომ კაცის ტანმრთელობისათვის საჭიროდ ასახელებდნენ რომელიმე საზრდოს, შემდეგ ამავე საზრდოს წინააღმდეგნი არიან. მხოლოდ ისღა ეჭვს გარეშე, რომ მცენარეულობაში მოიპოვება ყოველივე ის ნაწილები, რომელნიც კაცის სხეულისათვის საჭირონი არიან.

ზოგნი ამტკიცებენ, რომ ხორცი ადვილი მოსახელებელი და ნოყიერი საზრდოა; მაგრამ არც ის შეგვიძლია ვთქვათ დაბეჯითებით, რომ ის ხორცი, რომელსაც ჩვენ ვსჭამთ, მთლად სასარგებლოდ მიდიოდეს. აი ამის შესახებ რას ამბობს გამაჩენილი ექიმი ვირხოვი: «ძალიან ნაკლებად მოინახება ხორციულობის ნივთიერებანი, რომელნიც მთლად იშლებოდნენ კუჭში. რამდენათაც ძნელი დასადეჭია ხორცი, იმდენად მისი ნაწილები ძნელად იშლებიან. ღებოს დროს ხორცის დიდ ნაჭრებ შუა არ შედის ის სითხე, რომელიც მარტო გარეშე ნაპირზე ენება ხორცს და შლის მას კუჭში. ამიტომაც ხორცის უმეტესი ნაწილები დაუშლელად რბებიან კუჭში და გამოდის გარედ».

მარტო ერთი მცენარეულობისაგან რა საჭმელების მომხადება შეიძლება? ბევრი სხვა-და-სხვა საჭმელებისა, რადგან მცენარეულობა ბლომადაც იშობება და ბევრნაირიც არის. მცენარეულობისაგან საჭმელების კეთების დროს შეგვიძლია ვინცმოდღანელოთ ყოველნაირი სამხარეულო წივნებით; ბევრი სხვა-და-სხვა წვნიანი საჭმლის გაკეთება შეიძლება მცენარეულობისაგან და ნაცვლად ხორცისა შეგვიძლია ვინმართ მათში ერბო ანუ მცენარეულობისაგან მომხადებული ზეთი.

იმის გამოანგარიშებაც არ არის ძნელი, რომ დედამიწას იმდენი არ შეუძლია, თვითოეულს კაცს მისცეს ღღეში 3/4 გირვანქა ხორცი. აი რას ამბობს ლიბინი: «ხორცის მჭამელს კაცს საზრდოდ სჭირდება უფრო მომეტებული ნაწილი მიწისა, ვინემ ლომს და ვეფხვს. ზონადირეთა რიცხვის გამრავლება არ შეიძლება მიწის მკირე ფარგალზე». ა. გუმბოლდტის სიტყვით, მიწის ნაჭერი, რომელსაც მასზე პურის დათვის დროს შეუძლია ასაზრდოვოს ათი კაცი, ძლივს-ძლივობით საკმაოა ერთი კაცის საზრდოთაც, თუ ეს კაცია ისაზრდოებს მარტო ხორცით».

ევროპაში ასი-ათასობით არიან კაცები, რომელნიც მარტო მცენარეულობით საზრდოებენ და

\* ) იხ. «მწეუსი» № 3-4.

ხორცს არ ხმარობენ. ამ კაცების სიტყვებისაგან სჩანს, რომ როცა მით ხორცის ხმარებას თავი დაანებეს და მის ნაცვლად იწყეს მცენარეულობის ხმარება, უფრო კარგად იგრძნეს თავის თავი და ავადაც ნაკლებად ხდებიან. ეს კაცები არც სიამოვნებას არიან მოკლებულნი საქმელების შესახებ, რადგან მცენარეულობისაგან ბლომად ამზადებენ სხვა-და-სხვა საქმელებს და არც ხორცის ჭამის სურვილსა გრძობენ ხორცის დანახვის დროს, პირიქით კიდევ ეზიზღებათ ხორცის დანახვა.

დიდს ქალაქებში გამართულია სასაკლაოები. აქ მოჰყავსთ საუკეთესო საქონელი, მაგრამ მათგანაც ბევრი იწყუნება და დასაკლავად არ ხმარობენ. თუმცა დიდს ქალაქებში გამართულია სასაკლაო ადგილები, სადაც იკვლება საქონელი და სადაც ქალაქებს დაყენებული ჰყავსთ პირუტყვის ექიმები, რომელთაც წინდა-წინ უნდა ნახონ დასაკლავი საქონელი, რომ ჭირიანი არ იყოს, მაგრამ განა ჩუმად ცოტა საქონელს ხოცვენ. ვინ იცის მათში რამოდენი არის ჭირიანი, მაგრამ ამას ვინ ეძიებს, ხორცს ფასად ასაღებენ. სამაზრო ქალაქებში ხომ კაცი არ არის, რომელმაც თვალყური ადევნოს მეკასპეებს, რომ მათ ჭირიანი საქონელი არ დაჰკლან. ყოველი დავარდნილი საქონელი ამისთანა დაბებში იკვლება და საღდება. ამისთანა ჭირიანი საქონლის ხორცი კაცის ტანის სიმრთელისათვის არა თუ სასარგებლო არ არის, პირიქით საწამლავია კაცის სიმრთელისათვის.

ის კაცები, რომელნიც მარტო მცენარეულობის საქმელებით იკვებებიან, უფრო დიდხანს ცოცხლობენ. ყოფილა მავალითი, რომ ბევრს მათგანს უცხოვრია 200 წელიწადი; იქ, სადაც ხალხი ხმარობს ხორცსაც და მცენარეულობასაც, სცოცხლობენ 100 წლამდე; ესკიმოსები და ლაპლანდელი, რომელნიც მარტო ხორციით იკვებებიან, სცხოვრობენ მარტო 50 წლამდე; მცენარეულობისაგან მომზადებული საქმელები სასარგებლონიც არიან ტანის სიმრთელისათვის და მასთან ალაპაზებს კაცის ტანს და პირის სახეს. მშობიარობასაც აადვილებს მცენარეულობის საქმელები.

ამასთან მცენარეულობისაგან მომზადებული საქმელები უფრო იაფად ჯდება, და ეს ძალიან სასარგებლოა. უბრალო და იაფი საქმელების ხმარება შიამჩევს კაცს ზომიერობას.

## მღვდელი გერასიმე აბზიანიძე.

(ნეკროლოგი).

16 წარსულს თებერვალს ქ. ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა მღვდელი გერასიმე აბზიანიძე. მიცვალებული უმეტეს თუთხმეტის წლისა სოფ. ბაშის ეკკლესიის მოძღვრად იყო. ხოლო 1890 წელში მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მიანდო მას აშენება ქალაქ ქუთაისში ხელმწიფის უაფგუსტოესი ოჯახობის სასწაულებრივი გადარჩენის სახელობაზე ახალის ეკკლესიისა და წარსულს ნოემბერში 1891 წლისა კიდევაც დანიშნა იგი ამ ეკკლესიის მღვდლად. მღვდელი გერასიმე დიდის გულსმოდგინებით შეუდგა ამ ეკკლესიის შენებას, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ამ საქმისათვის, აგროვებდა ფულს სხვა-და-სხვა ადგილებზე ეპისკოპოსის მიწერილობის ძალით და ამ გვარის დაუცხრომელის შრომის შედეგი ის იყო, რომ ერთის წლის განმავლობაში ეკკლესიის შენება ნახევრობით მოთავდა. თვითონ მიცვალებულის თანამშრომლები ამ ეკკლესიის აშენების საქმეში, თვით კომიტეტის წევრები ჰმომზობენ, რომ მ. გერასიმე ისე ზრუნავდა ამ ეკკლესიის აშენებაზე, როგორც თავის საკუთარს საქმეზე, და არ შურავდა მისთვის არც შრომას და არც მეცადინეობას. გარდა ამისა მიცვალებული, როგორც მღვდელი და კერძო კაცი, სწორედ პატიესაცემი იყო ყველასათვის. მშვიდი, ღვთის მოსამსახურე და პატიოსანი მღვდელი, — გულშემატკივარი, ყველას დამხმარე და შემბრალბელი კაცი — აი როგორ მიჩნდა ყველას მიცვალებული მღვდელი აბზიანიძე. სამწუხარო ის არის ყველასათვის, რომ მან დასტოვა უპატრონო და ყოველს საშუალებას მოკლებული წვრილი ცოლ-შვილი. მიცვალებულის გვამი დასაფლავეს რუსების სასაფლაოზე ეკკლესიიდან გამოსავალ კარებთან. — დასაფლავების დღეს უწირა მას და ანდერძი აუგო მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა.



გაბრიელმა თანა დასწრებით ქალაქის სამღვდლოე-  
ბისა. დასაფლავებაზე დაესწრო მრავალი ხალხი. —  
მიცვალებულის გამოთხოვების დროს მიხვილ სალა-  
რადემ შემდეგი სიტყვა უთხრა მიცვალებულს:

**მამა გეოსამიე!**

შენი რჯახობა, შენი ნათესავები, შენი მეგობრება  
და ნაცნობები დღეს აქ შეგბრკოვლავართ, რათა უკანას-  
კნელი ვალი მოკისრდეთ შენს წინაშე. რამდენად სამ-  
წუხარა არის ვეკლასათვის შენი უღრმოდ გარდაცვა-  
ლება, ამას ცხადად გვიტყვიან ის ცრემლები, რამ-  
დენად დაიღვარა ამ სამს დღეში შენს სახლში და ეს-  
ლაც იღვრებიან ვეკლას აქ მუფუთაგან. გეოსამს, 16 თე-  
ბერვალს ერთად გაუგავთ, ერთად ვლავარვადათ, ვეკ-  
ლასი ცრემლად გხვდვდით და რჩებათს დაღას კა  
შენს სატირვად მოკვდათ; შენმა ამგვარმა უცრემ-  
გარდაცვალებამ თავზარი დაგვტოვა ვეკლას. გეოსამს შენ  
შენი რჯახობა, რეგორც დაუფასებელს მეუღლეს და  
მოსიყვარულს მამას, გეოსამს შენ შენი ნათესავები,  
რეგორც ერთგულ ნათესავს, სწუხარს შენზე შენი მე-  
გობრება და ნათესავები, რეგორც გულშემოტყუარს  
და პატიოსანს კაცს. გეოსამს შენ შენი მკვლეა, შენი  
სამწყვლას, რეგორც სულიერს მამას და პატიოსანს მა-  
ძღვარს. სწუხარს, რომ ასე შეცრად დაგვკარგე ჩვენი  
კეთილის მსურველი და მშვიდი მამა. შენ, მამა გე-  
ოსამიე, პატიოსანი და კეთილი კაცი იყავი. შენ არა  
მარტო თქვენი მღვდელ-მამკმედებით და წიკვა-ლაცრით  
ამტკიცებდით ღვთის სიყვარულს, არამედ ყოველი შენი  
მამკმედება, ყოველი შენი საქციელი, ყოველი შენი  
სიტყვა და გრძობა აშკარად ამტკიცებდა, რომ შენ  
გიყვარდა ღმერთი, ჭეშმარიტება და პატიოსნება. შენ  
მუდამ აგრცხვდები შენს ახლამას ღმერთს პირებში  
შენის მაგალით კეთილ-ზნეობას და მოყვასის სიყვარ-  
ულს. ამისთვის შენ ხარ ნამდვილი ქრისტიანი, რე-  
გორც აღმასრულებელი უმთავრესი ქრისტიანს სჯულისა.  
ჩვენ ვეკვდებით ღმერთს, რომ შენ ისე პირ-ნათლად  
წამდგარიყარ სასუფეველსა ზეცისასა, რეგორცათაც პირ-  
ნათლად გაგიტარებია შენი ამ ქვენიუჩი ცხოვრება.  
ჩვენ შორის შენი კეთილი სახელი, შენი მამკმეება  
შენი პატიოსნების გახსენება არ მთავრდება არადღეს.  
საუგუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანი კაც და  
მღვდელი.

**ს ა ბ რ ა ლ ო გ ე დ ნ ი ე რ ნ ი.**

(დასასრული \*)

ზიორგი არ იყო კაცის მკვლელი, არც მცარ-  
ცველი. ყველა ი ეკითხებოდნენ: ნუ თუ ე ა ალანი  
და პატიოსანი კაცი ასეთი საშიშარი განდებოდა ყვე-  
ლასთვის!.. ყველა გაკვირვებული იყო მისი საქციე-  
ლით. სწამებდნენ ბერს და ნამდვილის მნახველი  
არაიენ იყო. სხვა ავაზაკებთან ისიც ავაზაკად შერაცხეს  
და გარდაუწყვიტეს სამშობლოს მოშორება. მოს-  
წყინდა მას ციხეში ჯდომა, და ოსტატურად გაიპარა  
იქიდან და გავარდა. მარიაშ, გიორგის ცოლს, კვლავ  
ელირსა ენახა ამ დამეს, ერთის თთვის ლოდნის  
უკან, თავისი ნუგეში, უბედური ქმარი, რომელთა-  
ნაც კარვად არც კი მოუხსწრია აღერსი და სიყვა-  
რულით დატკობა, რომელთანაც შეუბრალდებელმა  
ძალამ მოუხპო მას სიამოვნება. და აი ასეთს ლა-  
მეში, როდესაც ტყის ნადირიც კი შიშისაგან ძრწის  
და თავის საკუთარს სოროში იმალება, როდესაც  
ყოველივე სულიერი თავის ჭერ ქვეშ განისვენებს,  
გიორგი იძულებული იყო მოთმინებით აეტანა ბუ-  
ნების შემზარევი ძალა, მიპარვით შესულიყო თავის  
საკუთარს სახლში, რომ თავის კანონიერს სატრფო-  
სთან ერთხელ მანც მოესწრო წყლულის დაამება.  
მერმე კი, ვინ იცის, რამდენს ხანს ვერ ნახავდა იმას  
ვინც მთელ ქვეყანას ერჩია, ვისიც ერთი შეხედვა  
ისე ათბობდა და ახალისებდა.

—ღმერთო ჩემო! რა უნდათ შენგან?.. რას  
გემართლებიან!.. თუ დასჯა უნდოდათ, იმდენს ხანს  
ციხეში ჯდომა არ კმაროდა, რომ გამოესყიდა შენი  
მცირე დანაშაულობა?.. ღმერთო!.. როგორ ვიფიქ-  
რებდი, თუ ციხეში ჯდომას არ გაკმარებდნენ და იმ  
დასაქცევს «ციხიში» გაგზავნასაც გადავიწყვეტდნენ!..  
ეს-ლა მაკლდა მე უბედურს!.. ქვითინებდა საბრალო  
მარიაში, გიორგის გულზე მიყრდნობილი.

—ნუ სწუხარ, ჩემო სიცოცხლე, ნუ ისივებ  
ტირილით თვალებს!.. რა ვუყოთ, რომ უბედურება  
შემემთხვა!.. ჩვენი კაცი ტანჯვისათვის არის გაჩენი-  
ლი... მადლობა ღმერთს, რომ იმათი ხელიდამ დავ-  
ძვერი და უფრო არ დამაშორეს შენი თავი... ახლა  
ნულა სწუხარ!.. ანუეგმებდა მას გიორგი, თუმცა  
თითონაც ძლიერს იმაგრებდა ცრემლებს, როცა მოა-  
გონდებოდა, რომ რამოდენიმე საათის უკან ისევ  
უნდა დაშორდნენ ერთმანეთს. მოესწრება კიდევ მის  
ნახვას?

—არა, შენ აქედამ ვერ წახვალ, — ეუბნებოდა  
მას მარიაში, რომლის შავს თვალებში საშინელი მწყუ-  
ხარება და დრტვინვა იხატებოდა. — შენს თავს ვერა-

\* ) იხ. «მწყემსი»-ს № 3—4.

ვინ დამაშორებს... ვის შეუძლია საბრალო ქალს ქმარი წაართვას!.. ქვეყანას შეეჩივლები!..

—ქვეყანამ რა ჰქნას, ჩემო სულო! ქვეყანა ჩვენებრ ტანჯავდა.— მხოლოდ რჩეულნი ტკბებიან სიამოვნებით... მარტო ისინი ნებიერობენ... მარტო იმათ შეუძლიათ დაიკვებონ ამ ქვეყნიურ ტკბილი ცხოვრება...

—მაშ, თუ ასეა, რაღაზე შურსთ სხვისი ერთის წუთის ბედნიერება?.. მე ხომ მათ არ ვეცილები!.. მე მათი არა მინდა რა... მე ჩემი მინდა, ჩემსას ეთხოვლობ... რატომ არ მამძღვენი!.. რას მემართლებიან, ღმერთო!.. სასოწარკვეთილებით იძახდა საბრალო მარიამი.

—მარიამ, შენი მწუხარება მე მტანჯავს! შენდა ხარ ერთი, რომელსაც მიენდო ჩემი გული და რომლის სიკაცხლითაც ეცოცხალვარ! მამა ჩემი გადაიტანა ჯავრმა.. დედა ჩემი, ჰკვიდამ შეშლილი, კლდეზე გადავარდა და დაიშხრა. აღარავინ გამაჩნია შენს შვიტ და ნუ თუ შენაც მომიძულებ და არ შემიბრალე!.. მე გადაუხდი ჩემისა და ჩემი ოჯახის უბედურობისათვის იმათ, ვინც ამ ღღემდის მიმალწვეინა!.. გოგია იყრის იმათს ჯავრს, თუ ცოცხალი დარჩა, შენის იმედით, შენის სიყვარულით გაეაქცაებული. მე მინდა მხოლოდ შენ მყავდე ნუგეზად და სხვა მე ვიცი, ყველას მოუა დრო!..

მარიამი რაღაც აღტაცებით შესტკეროდა თავის ქმარს. ის უეცრივ წამოდგა, გიშრის თვალეში ჩამომდგარი კრემლის გუბე მოიწმინდა, რომ არ ჩაექრო მათში ანთებული ნაპერწკალი. მისი გული აღღვებულს ზღვას ემსგავსებოდა. მან დაადო ქმარს მხარზე ხელი და გადაწყვეტილის კილოთი დაიწყო:

—გიორგი, შენ იქნება არ იცი, როგორ დაგეძებენ... ციხილამ რომ გაიქეცი, მას უკან ჯერ ხუთჯერ უოფილან აქ შენს დასახვერავად... რამდენი ღანძლეა, რამდენი დამცირება უნდა ამეტანა!.. იმათ იციან, რომ, აღრე თუ გვიან, მოაკითხავდი შენს გაუბედურებულს მარიამს... არა, მე წამოვალ შენთან... მე მოძძულდა ასეთი ცხოვრება... ხომ ღმერთთა მოწამე, რომ სულის წასაწყემედი საქმე არ ჩავიდენია. რატომ არ ხედვენ იმათ, ვინც შენზედ ასწილ მეტად შეცოდებულია? ასჯერ მეტად დამნაშავეა... მაგრამ ჩვენ ხომ მაინც უბედურები ვართ და დეე ასე უბედურად ჩავაძლოთ ეს წუთიერი სიკაცხლე!.. იქ კი ღმერთი შეგვიბრალებს—ის სულგრძელია!..

—რას ამბობ, მარიამ! შენ სად შევიძლია ამნაირი ველური ცხოვრების ატანა! რამ გაფიქრა ეს? განა შენ იმისთვის მინდიხარ, რომ ჩემთან ერთად იხტილო ქაჯეთის ტყეში?!. არა, ამას ნულარ გამიმეორებ... ეს რომ შესაძლებელი უოფილიყო, მე თვითონ გეტყოდი. მაგრამ ხომ არ გგონია, რომ მე იქ სასახლე მქონდეს აგებული და მოსვენებით ეცხოვრობდე! ჩემი სახლი მუხის ძირშია, სადაც არ ვიცი, როდის შემქვამს მძინარეს ნადირი და ან როდის შემომეხვევა გარს ჩემი მდეგრები!

არ გაუთავებია ლაპარაკი, რომ მოისმა გაცხარებული ძაღლის ყეფა. მურა ებრძვის მტერს. გიორგი გაოცებული წამოვარდებო. მარიამი აცხვაცხებული ეკერის ქმარს. ამ დროს გაეარდებო თოფი და ძაღლის ყეფა შეწყდებო. გიორგი მიხედა, რაც ამბავი იყო მის თავს. ის წამოაეღებს თოფს ხელს და გაეარდებო აივანზე, საცა კივილით გასდევს მას მარიამი. გიორგი მიაჩერდა სიბნელეში, მაგრამ სანამ ის მტერს გააჩეედა, იეღეა ერთად რამოდენიმე თოფილამ ცეცხლმა და მარიამმა გულში დაჭრილმა ბარბაცით ჩაიჩოქა ქმრის წინ. გიორგი მხარში დაჭრილი ხედავს ამ საზარელს სურათს. მისი ერთადერთი მეგობრის გული გაიჩრღვა მის წინ უწყალო მტრის ცხელი ტყვიით და ვერაფერს შეეღის. მას უნდა ერთი მაინც ანაცეალოს თავის ძეირფასს მარიამს, მისის მიზეზით მეკდარს შეუბრალეების ხელით, მაგრამ გაეარდებო კიდევ ორიოდ თოფი და გიორგი მოსხლეტით დაეშეება თავის ცოლს გულზე, რომელსაც მოხეეეს ხელს და ეს ორი ტანჯული არსება ერთმანეთს ჩახვეულნი დაღევენ სულის.

მოკედა და დადგა ორი ერთმანეთის მოსიყვარული გული და დასრულდა მათი ტანჯეაც. იმათ აღარც რამ გაახარებს, არც რამე შეაწუხებს. ისინი უკვე აღარას გრძნობენ და სამუდამოდ გამოეთხოვენ იმ ქვეყანას, საცა მათ იმოღენი უბედურობა გამოსცადეს. საცა წუთის სიამოვნებაც არ დააცაღენ და ღალატით მოუსპეს ის და სადაც მათებრ ტანჯული არა ერთი და ორია... მეორე დღეს ამ სისხლის მორეეის ადგილზე თავშეყრილს გიორგის მეზობელ გლეხებში აქა-იქ გაიგონებდით წარმოთქმულს ნაღელიანს სიტყვებს: „ბედნიერნი! მოშორდენ ამ გესლიანსა და გაუტანელს ქვეყანას“!..

ტიტოსია.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

პენსია დაენიშნათ სასულიერო უწყებაში მოსამსახურე შემდეგ პირებს: იმერეთის ეპარქიის ქაშის ღეთის-მშობლის ეკლესიის შტატს გარეშე მყოფს მღვდელს გრიგოლ კაშის ეუთაისის ხაზინიდან დაენიშნა 130 მან 1891 წლის 12 მარტიდან—თხოვნის შემოტანის დღიდან.

იმერეთის ეპარქიის კვატხეთის წმ. გიორგის ეკლესიის შტატს გარეშე მყოფს მღვდელს სოლომონ ჯაფარიძეს ქუთაისის ხაზინიდან დაენიშნა 130 მან. 1891 წლის 20 იანვრიდან—შტატს გარეშე დათხოვნის დღიდან.

იმერეთის ეპარქიის საქარას სამრევლოს შტატს გარეშე მყოფს მღვდელს კასილ ფეჩაძეს ქუთაისის ხაზინიდან დაენიშნა 130 მან. 1891 წლის 4 თებერვლიდან—შტატს გარეშე დათხოვნის დღიდან.

იმერეთის ეპარქიის ზემო-მალლაკის ღეთის-მშობლის ეკლესიის შტატს გარეშე მყოფს მღვდელს სომონ აბაჯეს ქუთაისის ხაზინიდან დაენიშნა 130 მან. 1891 წლის 8 აგვისტოდან—თხოვნის შემოტანის დღიდან.

გურია-სამეგრელოს ეპარქიის ზემო ხეთის წმ. გიორგის ეკლესიის შტატს გარეშე მყოფს მღვდელს ანდრეას თეგუაძეს დაენიშნა ფოთის ხაზინიდან 130 მან. 1891 წლის 3 აპრილიდან—შტატს გარეშე დათხოვნის დღიდან.

იმერეთის ეპარქიის ტყელოვანის სამრევლო მღვდლის სიმონ ჭეიშვილის ქერიეს ანასტასიას დაენიშნა ჯუჯიის ხაზინიდან 65 მან. 1891 წლის 24 დეკემბრიდან—ქმრის გარდაცვალების დღიდან.

იმერეთის ეპარქიის სოფ. ბუგეულის ღეთის-მშობლის ეკლესიის მღვდლის გრიგოლ აბუთაძეს ქერიეს მარამს დაენიშნა ქუთაისის ხაზინიდან 65 მან. 1889 წ. 20 სექტ. ქმრის გარდაცვალების დღიდან.

\*\*\*

10 მარტს, დღით სამშაბათს, დანიშნული იყო ქ. ქუთაისის მოურავის აღრჩევა. დანიშნულს დროს შეიკრიბნენ ხმოსნები, რომელნიც, შემდეგ ფიცის

მიღებისა, შეუდგნენ ქალაქის თავის აღრჩევას. დასახლებულ იქმნა ორი კანდიდატი. ერთად თვითონ ქუთაისის უწინდელი მოურავი ბ. ლ. ასათიანი და მეორედ ნაფიცი ვეკილი ლ. ლოლუა. დადგეს ორი ყუთი. ბ. ასათიანს ამოუვიდა თეთრი 17 და შავი 30, ხოლო ბ. ლოლუას 29 თეთრი და 17 შავი. აღრჩეულ იქმნა ქალაქის თავად ბ. ლოლუა. აგერ სამი დღე გადის ამ აღრჩევების შემდეგ და თბილისის ადვოკატობით გაზეთებში ამ საქმის შესახებ არაფერი სწერია. ძალიან გვიკვირს. თუ კი ჩვენი ქუთაისელი კორრესპონდენტები ყოველი ფენის გადადგმას ამ აღრჩევების შესახებ ატყობინებდნენ ხსენებული გაზეთების რედაქციებს ხან ტელეგრამებით და ხან წერილებით, ესლა რა დამართათ, რომ არასფერს იწერებინან.

საკვირველი არის, რომ ქუთათური კორრესპონდენტებს ნაქები კანდიდატები ყოველთვის შავდებიან და ნაძაგებთ კი ირჩევენ საზოგადოება. ეს არის ბეჭდითი სიტყვის გაფლენა საზოგადოებაზე?! მაგრამ ეს ან «პარტიობას» უნდა მივაწეროთ და ან ბ. კ. ჩიკვაიძეს!!

\*\*\*

ახალ-სენაკის ფოსტის უფროსის აზ. იაკიმე ლ. გამცემლისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის შემწეობით უგულისათდესი მაღლობა შეესწირო ახალ-აფონის მონასტრის წინამძღოლს მ. არქიმანდრიტს იერონს, რომელმაც ჩემის თხოვნით შესწირა სოფ. მაქათუმნის (შორაპნის მაზრაში) წმ. გიორგის ეკლესიას შემდეგი ნივთები: სამღვდელლო შესამოსელი ერთი ხელი, ბარძიმ-ფეხხუმი ეარსკვლავით, ჯვარი და სხვა საეკლესიო ნივთები, ღირებულნი 350 მანეთისა».

\*\*\*

ამ მარტის პირველს რიცხვებში საშინელი ზენაქარი ჰქროდა. ამ ქარმა იმსხვერპლა დ. ყვირილაში ათი დუქანი და სოფელს მალლაკში მთლად გადაიწვა 90 კომლი კაცი.





ამ ჩვენ დროშიაც მრავალი ურწმუნო ხალხია! საუბედუროდ ისინი დღითი დღე მრავლდებიან, და მათი სიტყვები, რომელსაც ისინი წარმოსთქმენ სარწმუნოების წინააღმდეგ, უფრო ცუდი და წინააღმდეგნი არიან უწინდელი დროის წინააღმდეგთა სიტყვებზე; ამიტომაც ჩვენ, თქვენმა სულიერმა მასწავლებლებმა და ხელმძღვანელთ სარწმუნოების საქმეში, მსგავსად შავლე მოციქულისა, ხშირად უნდა გაგაფრთხილოთ თქვენ, რათა ეგრძალებოდეთ მათგან, რამეთუ იგი წაღებას და სცდურსა იქმან, გაჩემე მის მოძღვრებას, რამეთუ თქვენ გასწავლეს და განუშორესთ მათგან. მაგრამ მართლ ერთი თქვენი გაფრთხილება არ კმარა; აგრეთვე საჭიროა გირკნოთ თქვენ ის ხიბვები, რომელთა მეშვეობით თქვენ შეიძლოთ სცნათ ეხლანდელი დროის წინააღმდეგნი სარწმუნოებისა, რომ უფრო მოერიდოთ მათ; ეს მით უმეტეს საჭიროა, ვინაიდან ისინიც, სიტყვისაებრ მოციქულისა, ხმარობენ აღერსიანობას და მჭევრ-მეტყველებას, რომ ამებით შეაცდინონ უმანკო პირნი.

პირველი ნიშანი და უმთავრესი თვისება ეხლანდელი დროის სარწმუნოების წინააღმდეგ პირთა ის არის, რომ მათთვის სულ ერთია დროებითი და საუკუნო, ქვენიური და ზეციური, სულიერი და ხორციელი, სამოქალაქო დადგენილობათ არ არჩევენ სარწმუნოების განონებისაგან. ამ ორ კერძო და სულ სხვა-და-სხვა საგანს ისინი არ ჰყოფენ ერთი ერთმანეთისაგან, ორივეს ერთად აუგებენ და ამცირებენ. რადგან მათ არ მოსწონთ ეხლანდელი სამოქალაქო და წესებულებანი. მათი ასეთი მსჯელობა განონიერია თუ არა, ეს სულ სხვა კითხვაა, ამიტომაც სამოქალაქო დაწესებულებასთან ერთად ისინი ჰკიცხავენ სარწმუნოებასაც, და უურადღებს არ აქცევენ მასს, რომ მიზანი და დანიშნულება სარწმუნოებისა სივსა და სამოქალაქო განონთა მიზანი და დანიშნულება სულ სხვა. თუ გინდ ვსთქვათ, რომ ზოგიერთი სამოქალაქო წესები კარგი არ არის, მაგრამ აქედგან რა გამოდის? ამაში რა დამნაშავეა ქრისტეს სარწმუნოება! სამოქალაქო წესდებანი და სახელმწიფო განონები გამოგონებულნი არიან კაცთაგან, და პირდაპირ დვთისაგან არ არიან მოცემულნი და არც ისეთი მტკიცე

და სრული დამოკიდებელება აქვსთ სარწმუნოებასთან, რომ ამ განონთა გულის თვის ვავე-გოთ სარწმუნოება. ეს კარგად ესმისთ თვითონ სარწმუნოების წინააღმდეგთა, მაგრამ განძრან უურადღებს არ აქცევენ ამას იმის გამო, რომ უფრო ადვილად მიადწიონ თავის მიზანს. ხოლო მიზანი მათი მდგომარეობს მასში, რომ ისინი, ვისაც თავის თანამოზიარეთ გაიხდიან, განადონ წინააღმდეგნი სამოქალაქო მთავრობათა და განონთა. ამ პირთ კარგად ესმისთ, რომ ის კაცი, რომელიც მტკიცედ ადგია სარწმუნოებას, ასე ადვილად არ იხმენს მათ რჩევა-დარიგებას; ამიტომაც სარწმუნოების წინააღმდეგნი პირველად ცდილობენ, რომ კაცის გულში შეარქონ სარწმუნოება, რომ ამ სახით უფრო ადვილად შეაცდინონ უმანკო პირნი.

მაგრამ ეხლანდელი დროის ზოგნი წინააღმდეგომნი სარწმუნოებისა სულ სხვა საშუალებას ხმარობენ, რათა მიიხრონ უმანკო ხალხი. ისინი ხშირად ისე იქცევიან, როგორც მოწმუნე პირნი. სადმართო წერილიდგან მოჰყავსთ მრავალი ადვილება, რომელნიც, თითქო, ეთანხმება მათ აზრს. ემეტესად იმითი აცდუნებენ კაცთა, რომ, ვითამც, მათ ძლიერ შეჭირსთ დარიბთა მდგომარეობა და ზრუნავენ საზოგადო დღეკეთილობისათვის. ისინი არწმუნებენ უვლას, რომ მათ ჰსურსთ გააუმჯობესონ ნივთიერი მდგომარეობა შეუძლო პირთა, რომელთაც უმართლოდ აწუხებენ და ამცირებენ შეძლებულნი პირნი. ეს კაცები მედამ სწუნრან და სტირიან, რასაკვირველია მართლ სიტყვით, დარიბ ხალხთა გულისათვის, რომელნიც მედამ წვალებამი არიან, ფარისევლობით და მჭევრ-მეტყველებით აცდუნებენ უმანკო პირთა, სიტყვისაებრ მოციქულისა. მაგრამ კარგად რომ დავაკვირდეთ ამ კაცების სიტყვებს, უოველის მართლ რომ გავსინჯოთ მათი აზრი, განსაკუთრებით თუ უურადღებს მივაქცევთ მათ და მათ მოქმედებას, ვინემ სიტყვებ და ცხოვრებას, მაშინ გამართლდება მოციქულის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ «ეს ხალხი ემსახურება არა უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, არამედ თავის მეცველსა». საზოგადო დღეკეთილობა და დარიბ ხალხთა შებრალება მათ მართლ ენაზე აკერიათ, ხოლო



გულში ჰსურსთ. რომ ქვეყანაზე დაჰყარდეს ისეთი წეს-წყობილება, როდესაც მათ და მათ მსგავსათა უსაქმობა და მცოდნარეთა იცხოვრონ უშრომლად სხვისი ქონებით.

ბოლოს გიჩვენებთ მესამე ნიშანსაც. ეხლანდელი დროის წინააღმდეგთ სარწმუნოებისას უყვარსთ გააკვირვონ და კიდევ შეამინონ უბრალო ხალხი იმით, რომ ისინი, ვითომც, ნასწავლნი და გამოცდილნი არიან, რომ მათი აზრი უკანასკნელი სიტყვაა, უკანასკნელი დასკვნაა მეცნიერებისა. მრავალი მათგანი, რომ უფრო მნიშვნელობა მისცენ თავიანთ თავს, ამბობენ, რომ მათ იმოგზაურეს სამშდვარ გარეთ, იყვნენ განათლებულს ქვეყნებში და თავიანთი სწავლა გადმოიდეს ზე შეიძინეს გამოჩენილ სწავლულ პირთაგან. მაგრამ ნუ შევაცდენთ, ძმანო, ასეთი სიტყვები. ამ პირთა განათლება ძლიერ საეჭვოა! რომ შეიქნე ნამდვილი სწავლული კაცი, ამისათვის საჭიროა დიდი მოთმინება და ხანგრძლივი შრომა, მაგრამ ამ ურწმუნო პირთ არა აქვსთ არც ერთი და არც მეორე. რაც შეეხება მათ მოგზაურობას სამშდვარ გარედ და განათლებულს მხარეებში, მართლაც ბევრს მათგანს უყვარს მოგზაურობა სამშდვარ გარედ და კიდევ რჩებიან იქ რამდენიმე დრო, მაგრამ რას სწავლობენ ისინი იქ, ან რა შემოაქვსთ მათ ამ ქვეყნიბიდან? ბევრი არასფერი! სამწუხაროდ, ყოველ დღიური გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ამ პირთა მოგზაურობა სამშდვარ გარედ ემსგავსება მასს, როგორც ერთი ცნობილი შინაური ცხოველი, როცა შეძლებელი კაცის ეზოში შევა, სადაც იგი ისვრება ნაკელსა და ტალახში, დარწმუნებულთა, რომ იმ კაცის ეზოში ვარდა ნაკელისა ზე ტალახისა კარგი არასფერია. განათლებულს ქვეყნებში, რასაკვირველია, ბევრი რამეა, რაც უნდა ვისწავლოთ ზე რასაც უნდა მივბადოთ, მაგრამ იქ ტალახიც ზე ნაკელიც ბევრია. მართლაც ზოგიერთნი მათგანნი სამშდვარ გარედ იძენენ ზნეობით ჭეჭეს და ეს ჭეჭეი შემოაქვსთ ჩვენში, ვითომც ჩვენში კი ცოტა იყო ესეთი ჭეჭეი.

ამიტომაც გლოცავთ თქვენ, ძმანო, ეგრძელებოდეთ ამისთანა პირთა. თუ შენ ხარ ქრისტიანი, ასცდები შენს გრძნობებში, თუ შენში

ნამდვილად არის ჭეშმარიტი, ცხაკელი სარწმუნოება, უეჭველად უწეი შენ ისიც, რომ სარწმუნოება არის უკეთესი ყველა შენს სელიერს ზე ხორციელს თვისებაზე და ნიჭზე, მამასადამე შენ ის უნდა დაიცვა როგორც თვათ უძვირფასესი შენი საუნჯე, რამაც შეგვეწიოს ჩვენ ყველას ღმერთი. ამინ.

ყოველს შავთავაშვი მოთმინება იქონიე და ღმერთი არ დაგივიწყებას.

(მოთხრობა).

მრთს სოფელში იღვა მშვენიერი ეკკლესია, რომელიც ერთმა ვაჭარმა ააშენა თავის საშუალებით. ამ ვაჭარს სახელად პეტრე ერქვა. პეტრე იყო ძლიერ მდიდარი და მასთან პატრონანი კაცო. ვაჭრები პეტრეს პატივსა სცემდნენ. იგი იყო გაჭირებულთა შემწეზოგს ფულით ეხმარებოდა და ზოგს კეთილს რჩევით აწუგებდა. ყოველს კაცს კეთილს გზაზე აყენებდა. შეკრებილებაში ყოველთვის პატრონებაზე ქადაგებდა პეტრე. დღესააწაკლ დღეებსი დროით აძლევდა საამელ-საჭმელს, ტანისამოსს და ფეხსაცმელს... თავის სოფელი ძლიერ უყვარდა პეტრეს. ამ სოფელში, ეკკლესიის გარდა, მან თავის ხარჯით ააშენა საავადმყოფო და სააწაკლელი. ამ საავადმყოფოში ყოველს უძღურს და გაჭირებულს ჰქონდა ბინა... აქ ყველას შეეძლო უფასოდ წამლის მიღება... ბევრი ცული ჩვეულება მოსაზო პეტრემ თავის მოძმეთა შორის. ყველასათვის სამაგალითო იყო პეტრეს ცხოვრება...

ყოველს საქმეს ღვთის განგებას აწერდა პეტრე. რა უბედურებაც უნდა შეემთხვეს კაცს, იგი არასოდეს არ უნდა შთავარდეს სასაჯარკვეთილებაში, იტყოდა ხოლმე პეტრე, ყოველმა კაცმა უნდა იქონიოს მტკიცე სარწმუნოება, სასოება და სიყვარული.

— დღეს სარწაუნოება დაცემულია. თითოეული ჩვენგანი ქვეყნიურზედ უმეტესად ფიქრობს, ვინემ ზეციურზედ. ყოველი მიწით-შობილი სიმდიდრის შეძენას სცდილობს. ვინ მოსთვლის, თუ რა სამარცხინო საშუალებას არ ხმარობს კაცი ფულების შეძენისათვის!!!. კაცმა დაიფიწყა ღმერთი. გაჭირების დროს ღმერთსა გამობს კაცი, ნაცვლად იმისა, რომ ღმერთს მადლობა შესწიროს, ამგვარად ვარდება კაცი სასოწარკვეთილებაში. კაცს არ ახსოვს ის ქვეშარიტება, რომ ღმერთი მრავალ მოწყალე და ყოველად შემძლებელია. როდესაც ბავშვი მშობელს სთხოვს რასმეს, იგი დარწმუნებულია, რომ მშობელი მის თხოვნას აღასრულებს. კაცს კი არ სჯერა, რომ ღმერთი აღასრულებს მის თხოვნას. იგი არ არის დარწმუნებული, რომ ღმერთს შეუძლიან მწუხარების შემსუბუქება!.. ამის მაგალითს ბევრს ვხედავთ ცხოვრებაში. აი ერთს მაგალითს გიამბობთ, რომელიც მე თითონ გამოვსცადე, სთქვა პეტრემ და დაიწყო:

— ჩემი მშობელი გლეხები იყვნენ. დედა ჩემი იყო კეთილ მორწმუნე ქალი. ბევრი კეთილი აზრები ჩანერგა მან ჩემს გულში. მან მასწავლა მე პირველ-დაწყებითი ლოცვები. ყოველთვის მიქადაგებდა შრომას და პატიოსნად ცხოვრებას. «ღეთის მცნება გახსოვდეს, შეილო, ყოველს საქმეში.

— მამა ჩემი კეთილის გულის კაცი იყო, მაგრამ სუსტის ხასიათისა. გაჭირვების დროს არ იყო მომთმენი. მაგარი სასმელები უყვარდა. ღვინის შემწვობით სცდილობდა იგი მწუხარების დაეწყებას. მთელი სიცოცხლე მამა ჩემმა, თითქმის, ლოთობაში გაატარა. ამიტომაც თან-და-თან ეღარიბებოდით... ერთს წელს ცუდი მოსავალი აყო ჭირნახულისა. მამა ჩემმა ნამეტანი მწუხარება ვერ აატანა; კიდევ უფრო მიჰყო ხელი ღვინის სმას. და დაზარადა. დედა ჩემი თუმცა შრომის მოყვარე იყო, მაგრამ წვრილ შეილებს ძლიერ-ძლიობით აჰმევედა პურს. ერთის წლის შემდეგ დაგვეწვა ბედელი, რომელიც პური იყო

საგვ. «ღეთის ნებაა, შეილო! ღმერთი არ მოგვიძულებს ბოლომდის», ამბობდა საწყალი დედა ჩემი. მამა ჩემი კი სასოწარკვეთილებაში შთაეარდა. დღე და ღამე თითქმის მთვრალი იყო. ერთხელ სიმთვრალის დროს მდინარეში გადავარდა და კინალამ დაიხრჩო. წყლიდამ ამოიყვანეს ცოცხალ-მკედარი. ორი კვირა ავად იყო და ლოგინ მი იწვა. გრძობა დაეკარგა. ნათესავებს ევლარ სცნობდა. სიკვდილის წინა დღეს კი ყველანი იცნო, მაგრამ ძალიან დასუსტებული კი იყო. მღვდელი მოვიყვანეთ. მღვდელმა ათქმევინა აღსარება და აზიარა. შემდეგ მამამ დაგვიძანა შეილებს და ეს დარიგება მოგვცა: «მე ვმორდები ამ წუთის სოფელს, შეილებო! ყველასა გთხოვთ შენდობასა, ცუდად ნუ მომიხსენებთ. გაჭირვების დროს მოთმინება იქონიეთ. რაც უნდა ღარიბი იყოს კაცი, ბედნიერია იგი, თუ მოთმინებით ხელმძღვანელობს ცხოვრებაში. ეხლა დაგრწმუნდი, თუ რა ძნელია სიკვდილი იმ კაცისათვის, რომელიც ღმერთზედ არ ახსობს. მე ვინილე ერთი ბრწყინვალე კაცი, რომელიც შორს იდგა და ტირილით რაღაცას ლაპარაკობდა. მომესმა მხოლოდ ეს სიტყვები... რისთვის დაიფიწყე ღმერთი?.. სხვა ვერა გავიგონე რა. ილოცეთ ჩემთვის. ღმერთს ნუ დაიფიწყებთ. რადგან მე უფროსი შეილი ვიყავი. მეტი დარიგება მომცა: დედას პატივ ეცი... იყავ პატიოსანი... მაგარ სასმელებს ერიდე... სინიღისი შთაგონებით იმოქმედე ცხოვრების ასპარეზზე... ყოველს საქმეში ღმერთი ახსენე». მთელი ღამე ამ ვარს დარიგებას მძღვებდა საწყალი მამა ჩემი. დილით კი უეცრად გარდაიცვალა იგი.

მღვ. თ. დავლაძე.

(შემდეგი იქნება).

### სასარგებლო ცოდნა.

## მოკლე დარიგება ვაზის ოჯის და ნასრის წამლობაზე.

ვაზის ავადმყოფობა მილდიუს ანუ ობი უმთავრესად ედება ფოთოლს: თავდაპირველ, აქა-იქ დაიჩითება ფოთოლის ზედაპირი მოყვითანო ჟანგის-ფრად და იმავე დროს ქვეითა მისი პირი იწინწკლებს თეთრის ფიფქ-მოყრილ წინწკლებით. შემდეგ ეს ფიფქი ცვივა, ზედა პირის დაჩითულები დიდდება და დაიკრავს რუხვს ანუ მოწითანო ჟანგის ფერს, ფოთოლი სძება და თავის ელორტიანად ცვივა ძირს. ამ უკანასკნელ წელიწადში ეს ავადმყოფობა თვით მტევნებზედაც გადავიდა, რომელსაც პირველად თეთრის ფიფქით მოედება (და არა ნაცრის ფრის ფიფქი, რომელსაც ნაცარი დასდებს ხოლმე მტევანს); შემდეგ მტევანი ჭკნება და სცვივა ძირს.

ობის წამალი არის შაბიაბანი (ლურჯი ქვა) და ქვა-კირი (დაუმლეული კირი); კარგი შაბიაბანი ისე იდება ნატეხ-ნატეხად, მშვენიერი ლურჯის ფერის არის და სან-და-სან სუფთა ფიფქს მოიღებს. ვაჭრები ცბიერობით შეურყევენ ხოლმე მას კვიპროსის მომწიკე ნატეხს, რომელიც უფრო იაფად ღირს და კამოკუნადე-გარია ობის წამლობაში. უხადო ძალიან ახი გამოიცდება ამ ნაირად: უნდა აიღოთ ცოტა-ოდენი შაბიაბანი და გახსნათ ერთ სტქან წყალში; როცა ის კარგად გაიხსნება, უნდა დაასხათ მას წინააღმდეგ დაძვადებული ცოტა-ოდენი კირის რძე (კირის რძე ამ ნაირად მზადდება: ჩააკდეთ სტაქანში ჰაწია ნატეხი ქვა-

კირი; დაასხით წყალი, რომ გაიშალოს კირი, და მერე შეავსეთ სტაქანი წყლით და აურიეთ; ჩხირით—გახსნილი კირი რძეს ჭკავს). როცა კირის რძეს დაუმატებთ გახსნილ შაბიაბანს—მედეგება ნამიარალი. თუ შაბიაბანი წმინდა იყო, მაშინ ნამიარალი შეიფერება ჟანგის-ფრად.

კირი უნდა იყოს ახლად დამწვარი, დაუმლეული ქვა-კირი, რომელიც შიშინით, სიმსურვალით იშლება წყლისაგან.

წამალი შესდგება 12 ორ ბათმინანი ჩაფი წყლისგან, ათი კირვანქა შაბიაბანისაგან და 5 კარვანქა კირისაგან. წამალი აგრე უნდა შეასწავოთ: ჰატარო სპილენძის (თუჯის არ ვარკა) ქვაბში გაათბეთ წყალი და შიკ ჩაუარეთ ათი კირვანქა შაბიაბანი გასახსნელად; გაიხსნება თუ არა შაბიაბანი, ქვაბი გადმოდგით, გააცვივეთ და მერე ჩაასხით ბოჩკაში ან სხვა რაიმე ჭურჭელში, რომელშიდაც წინდაწინვე მოკავებული უნდა იყოს თუთხმეტოდე ჩაფი ცივი წყალი. იმავე დროს ცალკე ჭურჭელში დაძალეთ კირი (ხუთი კირვანქა) ცოტა-ოდენი წყლის დასხმით და როცა კირი ფშხნილად იქცევა, შემდეგ ბლომად დაასხით მას წყალი (ნახევარ ჩაფამდე). ამ ნაირათ დამზადებული კირის რძე, გაკრილებული და კარგად არეული, უნდა ჩაასხათ სცერში გატარებული ცხელი შაბიაბანში და თან ურიოთ წმინდა ჯაბანთ. ეს ჯაბანთ მოსრევა უნდა განაკრძოთ ცოტა ხანს მას შემდეგაც, როცა კი მოთავდება კირის რძის ჩასხმა შაბიაბანში. უსათუოდ სცერში, რომ კირის რძე იყოს ჩასხმული მთლიანში და არა შაბიაბანი კირში. ამ ნაირად შედგება მშვენიერი ცის ფერი სითხეა.

უკეთესია, რომ წამალი ხმარებამდე ორი ანუ სამი დღით წინედ იყოს მომზადებული, თუ არა და ექვსი ან თორმეტი საათით ადრე მიიღეს. ხმარების წინედ კარგად უნდა აირიოს ეს სითხეა და ჩაისხას მაშინაში.

ვენახში რომ შევა მუშა, იგი წამოიკიდებს სურგზე მაშინას და დადგება ვენახის რომელსამე კიდესე და ორსავე მხარესე ორი ნაბიჯის დაშორებით დაასობს სარს სანიშნებლად, რომ არ შეეშალოს კვალი. სანამ მუშა გაჭეკვებოდეს სურელს, ერთ სარს მოთხრის და გადაუნაცვლებს ორ ნაბიჯსე ალაგს და მერე მოჭეკვება სურელს. საჭირო არ არის, რომ ძლიერ ასხუროთ. უძჯობესია, რომ თითოეული ფოთლი თანაბრად იქმნეს მოცვარული წვრილწვრილ წვეთებით; ამისათვის საჭიროა, რომ მაშინის მასრა ააშვიროთ ცოტა ზევით და ამ ნაირად შევიდამ წამოსული მხეფი თანაბრად მოედება ფოთლებს.

ძლიერი ქარის დროს ან წვიმიან ტაროსში უსარგებლო იქნება მოსხურება. აგრეთვე უსარგებლო იქნება მოსხურება ვენახისა, თუ ფოთლები სველია წვიმისა ან ცვარისაგან, ერთ ქცევა ვენახს დასჭირდება დაახლოებით რომ ვსთქვამთ, თოთხმეტი ჩაფი წყალი, თორმეტი გირვანქა მახიბანის და ექვსი გირვანქა კირი. საჭიროა თავდარივისათვის ჰირველი მოსხურება მოხდეს არა უკვიანეს შვა მახისისა, სანამ გამოცხადდებოდეს ობის ნიშნები; შემდეგი მოსხურება უნდა მოხდეს იმის და მიხედვით, თუ ფოთლებისაგან ჩამოირეცხება წამალი და გამოჩნდება ობის ნიშანი. წვიმიან წელიწადში საჭიროა ხან-და-ხან სამჯერ ოთხჯერაც მოსხურება. ამ ნაირადვე შეიძლება მალხარის მოსხურება, თუ იგი ძლიერ გაბარდული არ არის. საუკეთესო სასხურებელ მაშინად ითვლება ვერძოლერის მაშინა.

**გახის ავადმყოფობა ოიდიუმი ანუ ნაცარი** უმთავრესად თვით მტევანს მოედება ხოლმე, რომელსაც იგი მოფარავს ნაცრის ფერის ფიფქით და გაუდენს ნაღები ანუ დამაბალი თევზის სუნს. მტევანი ძალე მავდება და

სძება. საუკეთესო წამლად ნაცრის წინააღმდეგ ითვლება წმინდად დაფიქილი გოგირდი. გოგირდის სიწმინდე ამ ნაირად გამოიცნობა: ცოტაოდენ გოგირდის ფხვნილს ჩაერთ წყალში და მერე ამოიღებთ; თუ დასველდა, მამ წმინდა არ უოფილა, რადგან გოგირდს წყალი არ ევარება; მაშინ უნდა დაწვათ რამესე ცოტაოდენი გოგირდი. წმინდა გოგირდი სრულიად იწვის და არაფერს სტოვებს. ვასს უნდა შეაყროთ ეს წმინდად დაფხვნილი გოგირდი განსაკუთრებული საბერველით (საუკეთესო საბერველია ლაგლეხის, რომელსაც თან ახლავს გვერდით მიკავშირებული ქესტის კოლოფი). მუშაობა გოგირდის შეკრის დროს ეგრევე ხდება, როგორც მახიბანის მოსხურების დროს, ე. ი. მუშამ სარები უნდა დაასოს, რომ კვალი არ შეეშალოს. გოგირდის შეერასაც იგივე თავდარივი უნდა, რაც მახიბანის შესხურებას, ე. ი. გოგირდის შეერა უსარგებლო იქნება, თუ ძლიერი ქარის ან და ფოთლი სველია. აგრეთვე მავნებელია სიცხეში მუშაობა; ამისათვის სჯობია რომ მუშაობა შესწვივით თერთმეტი საათიდან ნამუადღუვის ოთხს საათამდე, თორემ შეიძლება ფოთლი დაიწვას. გოგირდი ისე უნდა შეაყროთ, რომ მან თანაბრად დაფაროს ყველ ფოთლები ძლიერ შესამჩნევი გოგირდის მტვერით. მომეტებული გოგირდი ფუჭი ხარჯიც არის და მავნებელიც.

ჰირველად გოგირდს შეაყრიან იმ დროს, როცა ვახის ელორტები ნახევარი არშინამდე წამოიზრდება. მეორედ და შესამედ შეერა გოგირდის ტაროსზე კიდია. მხოლოდ მაშინ არის საჭირო, თუ რაიმე ნიშანია ნაცრის, ყოველ შემთხვევაში საჭიროა, რომ უკანასკნელი შეერა მოხდეს სამის ანუ ოთხი კვირის წინედ რთველამდე, რომ გოგირდი არ შეევეს მტევანს უურძნის დაწურვის დროს.



# საეჭვო კითხვების განმარტება.

მაჰა რედაქტორი!

დიდ-მარხვის მესამე შეიდეულის სამშაბათს, ე. ი. მარტის 8-სა რიცხესა, ერთს სოფელში ორი მიცვალე-ბული იყო სხვა-და-სხვა მღვდლისა. ერთმა მღვდელმა ამ დღეს დასაფლავა თავისი მიცვალებული პირველ-შეწირულის წირვით, მეორე მღვდელმა კი უარი უთხრა ჭირისუფალს ამ დღეს წირვის შესრულებაზე, რადგან ეკკლესიის ტიბიკონით ამ დღეს, ვითომც, წირვა არ შეიძლება დღეს. ამ სახით პირველი მღვდელი დარჩა გამარჯვებული მთელს სოფელში, ხოლო მეორე კი უცოდინარი ხალხის თვალში.

ბოხოვთ, რომ თქვენის პატრეცემულის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით გამოაცხადოთ: შეილება თუ არა პირველ შეწირულის წირვა აღსრულდეს დიდ-მარხვის ორშაბათს, სამშაბათს და ხუთშაბათს გარდა დღეთა: 40 მოწაფეთა, დიდისა კანონისა და ვნების შეიდეულისა?

მღვ. აბ. ბ.—ღკჳ.

მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ტიბიკონით პირველ შეწირულის წირვის აღსრულება შეიძლება არა მარტო დიდ-მარხვის კვირაკების ორშაბათს და პარასკევს, არამედ სხვა დღეებშიაც, გარდა შაბათ კვირისა და იმ დღეებისა, როდესაც ტიბიკონი უჩენს, დღესასწაულების დამთხვევისა გამო, ოქროპირის წირვას. ეს, ვგონებთ, ყველა მღვდელმა უნდა იცოდეს და იქნება თქვენგან დასახელებული მღვდელიც არ იტყვოდეს უარს წირვის შესრულებაზე, თუ რომ პირველ შეწირული მზად ჰქონებოდა. როგორ შეუძლია მღვდელს უწიროს ვისმეს დიდ-მარხვის ხუთშაბათს ანუ პარასკევს, თუ მას წინ და წინ, კვირას, არ მოუშაადებია ყველაფერი ამ დღეებში წირვის შესასრულებლად? საქიროების დროს კი მღვდელს შეუძლია სხვა ეკკლესიიდან დაიხმაროს პირველ შეწირული.

რედ.

მიიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ კვირულ ზამოცხმათა ჟარტულს

# „მწყემსზელ“

დ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზელ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საზოგადოებრივ მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საქიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაზოგბებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

## ფ ა ს ი გ ა ზ ე თ ი ს ა :

12 თვით «მწყემსი» 5 მ. 6 თვით «მწყემსი» 3 მ.  
— ,, ორივე გამოცემა 6 » — ,, ორივე გამოცემა 4 »  
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 მ.  
სოფლის მასწავლებელთ «მწყემსი» დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარდალაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

ზაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვარდალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ზარევე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».